თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1250175

ნომერი: AR1212129

თარიღი : 14.04.2014

გაცემის თარიღი : 02.05.2014

გაცნობის თარიღი : 02.05.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზემო ვაკის ქუჩა N28-32-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ საბიაშვილი პ/ნ 01024009667
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 4 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ზემო ვაკის ქ. #28-32-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.15.02.058.031) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), სადაც განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2)-თვის დგინდება შემდეგი ქალაქმშენებლობითი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ1) – 0,5; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) – 0,8; მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3) – 0,25;

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2)-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა შესაძლებელია სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, სამსახურმა საკითხი წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 24 აპრილის #16 სხდომაზე განსახილველად (იხ. დანართი), სადაც საკითხი გადაწყდა დადებითად და ქ. თბილისის მერის განკარგულებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით (ქ. თბილისის მერის განკარგულება მომზადებისთანავე მოგეწოდებათ დამატებითი შეტყობინებით).

ამასთან, გაცნობებთ, რომ ვინაიდან შენობის რეკონსტრუქცია–დაშენება არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, მოთხოვნა დაყენებულ უნდა იქნას არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. შესაბამისი განაცხადი და პროექტი უნდა აიტვირთოს www.tas.ge-ზე მშენებლობის ნებართვის შესაბამის ველში.

ტექნიკური გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.